ოქმი:**ო12.37213511**

თარიღი:**17/12/2021**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2021 წელი, 15 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

10.00-11.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.გოლიაძე, ქ.ვასაძე, ნ.ნადირაშვილი, ხ.ცერცვაძე, ვლ.ხავთასი, მ.ჩხიკვიშვილი, მ.ვაშალომიძე, ნ.ჭანიშვილი, ნ.სარჯველაძე, ტ.მგელაძე, ს.ქარცივაძე, გ.სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.კომისიის დებულების შესახებ.

მომხსენებელი: ქ.ხომერიკი

2.კომისიის სამუშაო ჯგუფების შესახებ.

მომხსენებელი: ქ.ხომერიკი

3.კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ქ.ხომერიკი

4.კომისიასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს შესახებ.

მომხსენებელი: ქ.ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ.ხომერიკმა ისაუბრა კომისიის მუშაობის ძირითად ასპექტებზე, კომისიის ამოცანებსა და მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ კომისიის მუშაობის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია მუნუციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში და ასევე გამომდინარეობს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებიდან, შემდეგ კომისიის წევრებს გაცნო წინა მოწვევის სკრებულოს მიერ დამტკიცებული კომისიის დებულება და განაცხადა, თუ კი კომისიის წევრებს არ ექნებათ შენიშვნები, ან თუ საკანონმდებლო ცვლილებებით არ დადგება ცვლილებების შეტანის საჭიროება, კომისია მუშაობას გააგრძელებს

წინა მოწვევის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით. კომისიის წვრებმა მხრი დაუჭირეს ამ წინადადებას.

კომისიის მუშაობის ამოცანების შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ ქ.ხომერიკმა კომისიის წევრებს შესთავაზა კომისიასთან სამი სამუშაო ჯგუფის:1. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის -უფროსი დავით მდინარაძე, წევრები: ნ.სარჯველაძე, მ.ჩხიკვიშვილი, მ.ვაშალომიძე, ვლ.ხავთასი, ალ.ბურჭულაძე, პ.სალუქვაძე; 2. სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების-უფროსი-ხათუნა ცერცვაძე, წევრები: ვლ.ხავთასი, ნ.ჭანიშვილი, მ.ვაშალომიძე, ნ.ნადირაშვილი, გ.სირაძე, ს.ქარცივაძე; 3. კულტურის, სპორტის, ახალგზრდულ საქმეთა ტურიზმის -უფროსი-ნ.გოლიაძე, წევრები: ქ.ვასაძე, ნ.ნადირაშვილი, ნ.ჭანიშვილი, პ.სალუქვაძე, გ.სირაძე. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებასაც.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ კომისიის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია ყოველწლიურად მუშაობის დაგეგმვა, შემდეგ გააცნო სამუშაო გეგმის პროექტი, რომელსაც კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მე-4 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიაში განსახილველ საკითხებზე რეკომენდაციების, წინადადებების შემუშავებისა და პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების მიზნით უნდა შეუქმნას საკონსულტაციო საბჭო და მისი შემადგენლობა განსაზღვრა 3-წევრით: ლალი სიჭინავა, მაკა ჭყონია, თეა ლომჯარია.

კომისიის წევრებმა იხელმძღვანელეს რა კომისიის დებულების შესაბამისი მუხლით მხარი დაუჭირეს კომისიის თავმჯდომარის წინადადებას.

გადაწყვიტეს:

1.კომისიამ იხელმძღვანელოს წინა მოწვევის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

2.კომისიასთან შეიმნას სამი სამუშაო ჯგუფი:1. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის -უფროსი დავით მდინარაძე, წევრები: ნ.სარჯველაძე, მ.ჩხიკვიშვილი, მ.ვაშალომიძე, ვლ.ხავთასი, ალ.ბურჭულაძე, პ.სალუქვაძე; 2. სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების-უფროსი-ხათუნა ცერცვაძე, წევრები: ვლ.ხავთასი, ნ.ჭანიშვილი, მ.ვაშალომიძე, ნ.ნადირაშვილი, გ.სირაძე, ს.ქარცივაძე; 3. კულტურის, სპორტის, ახალგზრდულ საქმეთა ტურიზმის -უფროსი-ნ.გოლიაძე, წევრები: ქ.ვასაძე, ნ.ნადირაშვილი, ნ.ჭანიშვილი, პ.სალუქვაძე, გ.სირაძე.

3.დამტკიცდეს კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

4.დამტკიცდეს კომისიასთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა: ლალი სიჭინავა, მაკა ჭყონია, თეა ლომჯარია.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი